სამხრეთ კავკასიის რკინიგზა გლობალური ისტორიის კონტექსტში: რუსეთისა და ევროპის სარკინიგზო პოლიტიკის შედარებითი ანალიზი

ნანა შამათავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

თანამედროვე საქართველოს ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბექა კობახიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ ნინო
მატარაძეს ამავე ფაკულტეტის თანამედროვე
საქართველოს ისტორიის მაგისტრანტის
ნანა შამათავას

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა შამათავა

2024 წ.

აბსტრაქტი

სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში სამხრეთ კავკასიის ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო მოვლენაა.

რკინიგზამ, ერთი მხრივ, რუსეთის სამხრეთ საზღვარზე მდებარე კავკასიის სატრანზიტო მნიშვნელობა გაზარდა, მეორე მხრივ კი, რეგიონში ფუნდამენტური საზოგადოებრივი ცვლილებებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა შექმნა. სოფლებსა და ქალაქებს შორის გაადვილებულმა მიმოსვლამ და გაზრდილმა ურბანიზაციამ მოწყვეტილი რეგიონები საერთო ეკონომიკურ სივრცეში გააერთიანა. ეს მნიშვნელოვანი პროცესებია, თუმცა სამხრეთ კავკასიის რკინიგზისათვის მხოლოდ უნებლიე, გვერდით ეფექტებს წარმოადგენს ლოკალური, მიკროისტორიული პერსპექტივიდან.

რკინიგზის გაყვანის რეალური მოტივები კი, რუსული იმპერიალიზმის მაკროისტორიულ, გლობალურ კონტექსტთან არის დაკავშირებული. რუსული სარკინიგზო პოლიტიკა დასავლურისაგან იზოლირებული არ იყო. პირიქით, მეცხრამეტე საუკუნეში ევროპაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტი განსაზღვრავდა რუსეთში რკინიგზის გაყვანის საკითხს.

წინამდებარე კვლევის მიზანია იმ მიზეზების გაანალიზება, რომელთა საფუძველზეც რუსეთის იმპერიამ სამხრეთ კავკასიაში რკინიგზის გაყვანა გადაწყვიტა. საამისოდ, კვლევაში განვიხილავ, თუ რა კონტექსტში წარმოიშვა და განვითარდა სარკინიგზო ტრანსპორტი ევროპაში; რა მსგავსებებითა და განსხვავებებით ხასიათდებოდა სარკინიგზო იმპერიალიზმი რუსეთსა და ევროპის იმპერიებში და რა კონკრეტული ეკონომიკური და სტრატეგიული ამოცანები უკავშირდებოდა იმპერიულ ჩანაფიქრში სამხრეთ კავკასიის რკინიგზას. შედარებით-იმპერიული ანალიზი დამეხმარება განვსაზღვრო რუსეთის, როგორც მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ნახევარ-პერიფერიული აქტორის ადგილი სარკინიგზო იმპერიალიზის სცენაზე და, აქედან

გამომდინარე, გავაანალიზო ის სამხედრო-სტრატეგიული თუ ეკონომიკური იმპერატივები, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელი გახდებოდა ამ კავკასიური სარკინიგზო სისტემის მეშვეობით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამხრეთ კავკასიის რკინიგზა, იმპერია და რკინიგზა, რუსეთის სარკინიგზო პოლიტიკა.

Abstract

The construction of the railway at the end of the nineteenth century and the beginning of the twentieth century stands as a pivotal event in the history of the South Caucasus. This development, on one hand, enhanced the transit significance of the Caucasus, situated on the southern frontier of Russia. On the other hand, it established the necessary infrastructure for profound societal changes in the region. The railway facilitated transportation between villages and cities, spurred urbanization, and integrated isolated regions into a unified economic space. While these were important processes, they were merely unintended side effects from a local, micro-historical perspective.

The true motives behind the construction of the railway are tied to the macro-historical, global context of Russian imperialism. Russian railway policy did not evolve in isolation from Western influences. On the contrary, the economic and political milieu of nineteenth-century Europe significantly influenced the decision to develop railways in Russia.

The purpose of this study is to analyse the underlying reasons for the Russian Empire's decision to build a railway in the South Caucasus. Therefore, this research will explore the context in which railway transport emerged and evolved in Europe, examine the similarities and differences between railway imperialism in Russia and European empires, and identify the specific economic and strategic objectives linked to the South Caucasus railway in imperial thought.

A comparative-imperial analysis will aid in positioning Russia as a semi-peripheral actor within the global economic system during the era of railway imperialism. This analysis will further elucidate the military-strategic and economic imperatives that the Russian Empire aimed to achieve through the establishment of the Caucasian railway system.